საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ბრიგუნა“ ღირს
თვითურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
redakcia და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „
საგვლოვიანო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 555 შაბათი აგვისტოს 25 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწუხრებული ძმები ვიკტორ, ალექსანდრე, ილიკო და კონსტანტინე სამსონის-ძენი ასათიანები, დები ევდოსია წერეთლისა, ვასასი აბულაძისა, მარიამი, აგრაფინა და ეკატერინე ასათიანები და სიძეები შალვა წერეთელი და ვანო აბულაძე აცნობებენ ნაცნობთ, რომ კვირას 26 აგვისტოს დღის 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროთ დაკარგულის

დავით სა-სონის ძე

თ[illegible] ნიშ

გარდაცვალების ორმოცის თავი.

2—1

საქ. თვლ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის

სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ **სათათბირო** ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. **სამაზრკომი.**

საქ. მემარცხენე სოც.-ფ. დემოკრატიის

შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით

კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის

შორაპნის სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

მკირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.

შორაპნის სამაზრკომი.

დღევანდელი კონფერენციისათვის

ორ წლის განმავლობაში ვებრძოდით ჩვენ მენშევიკებს საქართველოში, ვებრძოდით პატიოსანი საშუალებით, ვინაიდან გვწამდა, რომ ისინი გულწრფელად სცდებოდენ. მათი მხრით კი ჩვენ ავიტანეთ ულირსებული დემაგოგია, უსინდისო ცილისწამება და პროვოკაცია მასების წინაშე და ბოლოს წმინდა ჰავრაზმული ფაშისტური დარბევა. ჩვენ ვიტანდით ყოველივე ამას და გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლით იდეიურ ფრონტზედ, ვუმტკიცებდით საქართველოს მუშებს და გლეხებს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია არ იყო მათი პარტია და უმართებულოდ ირქმევდა მუშათა პარტიას. ვამტკიცებდით ერთ-ეთვე, რომ მენშევიკების პარტია ჩვენში უნიადაგო იყო, ის გაკოტრდებოდა უეჭველად და ხალხი მას ზურგს შეაქცევდა. (იხ. მაგ. „ჟინჭარის“ წეროიტეები: **„უნიადაგონი“** ქუთათურ „ხალხის მეგობარში“).

რომ ჩვენ არ ვსცებოდით, ამას დღეს ყველანი ხედავს. გამოფხიზლებული მუშები და გლეხები ეხლეს წყევლა-კრულვით იგონებენ წარსულ შეცდომებს და მის მიზეზს, მენშევიკურ ბელადებს. დღეს მუშები თვითონ ხედავენ ვინ იყო მართალი ჩვენ შორის და შეგნებულად ხდებიან რევოლიუციის დარაჯთა რიგებში. მათ თვითონ დარწმუნდნენ საბჭოთა სისტემის სიკეთეში და უნდათ აწი მაინც აქტიური და შეგნებული მონაწილეობით გააკეთონ მუშურ-გლეხური ხელისუფლება და წინ წასწიონ საბჭოთა აღმშენებლობა.

მთელი ჩვენი ცდაც აქეთ იყო მიმართული და აქეთ მოუწოდებდით საქართველოს მუშებსა და გლეხებს. სამი წლის განმავლობაში ვუმტკიცებდით ყველას, რომ ჟორდანია-რამიშვილები ანტანტის სათამაშო ტიკინებია მე-2 ინტერნაციონალთან ერთად, რომ მათი იმედი—ესაა შავი კონტრ-რევოლიუციის იმედი, რომ მათი ინტერვენცია, რომც მოახერხონ ეს იქნებოდა არა მარტო კონტრ-რევოლიუცია,—არამედ ჩვენი ერის ფიზიკური განადგურება.

სამწუხაროდ მენშევიკების აგენტებმა სამი წლის განმავლობაში მოხერხებული ჭორებით, დემაგოგიით, პროვოკაციით და სხვა ამგვარებით შეინარჩუნეს მასის ნაწილის სიმპატიები. ამას ხელს უწყობდა და მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციას, ისე როგორც ადგილობრივ შოვინიზმს, ჰკვებავდა ბოლშევიკების შემცდარი ეროვნული პოლიტიკა დღემდის, რომელსაც ჩვენ ვამხელდით და მოვითხოვდით მის გამოსწორებას. დღეს ეს გამოსწორდა და მენშევიკების ოპოზიციასაც ნიადაგი გამოეშალა. დღეს ეხსნება ტფილისში ყოფილ მენშევიკთა კონფერენცია. ეს ისტორიული მოვლენაა უსათუოდ.

ჩვენი გულწრფელი სალამი გამოფხიზლებულ მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა დიქტატურას.

ფაღლიო-ლეპეშევი

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამგვეგი

პარიზი. 23 აგვისტო. კანცლერი შტრეზემანი პარტიების ლიდერებთან და მრეწველებთან ერთად იხილავდა ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას. კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობა, თუ საჭირო იქნება, მიიღებს დიქტატორულ ზომებს გერმანიის გადასარჩენათ. შტრეზემანმა ხაზი გაუსვა დევიზის ფონდის შექმნის აუცილებლობას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმპორტს და შესაძლებელი გახადოს მარკის სტაბილიზაცია. პარტიების ლიდერებმა მოიწონეს შტრეზემანის გეგმა.

რომი. 23 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც დაესწრო პრეზიდენტი ებერტი, კაბინეტმა მოისმინა პარტიების ლიდერების აზრი და მოიწონა ძირითადი ეკონომიური ღონისძიებანი, რომელნიც საჩქაროდ იქნებიან გატარებული ცხოვრებაში განსაკუთრებულ კანონპროექტების საშუალებით. გაზეთების ცნობით, მთავარი ეკონომიური ღონისძიება, რომელიც წამოყენებულია თათბირზე, ეს არის სადივიზო ფონდის შექმნა გერმანიის საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ სურსათ სანოვაგით უზრუნველყოფისათვის. ფონდის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ ვაჭრები, მრეწველები და მემამულეები.

რომი. 23 აგვისტო. ხვალ ელიან შტრეზემანის გამოსვლას რეიხსტაგში, დაწვრილებითი განმარტებით განზრახულ ფინანსიურ ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ.

პარიზი. 23 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის თვითმართველობამ, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა დაეფარა 60 მილიარდი მარკის დეფიციტი, დროებით შეაჩერა ტრამვაის მოძრაობა.

პარიზი. 23 აგვისტო. რეიხსტაგის ფისკალურმა კომისიამ 500 პროცენტით გაადიდა გადასახადი მუშებისა და მოსამსახურეებისთვის მისაცემ დამატებით ჯამაგირზე.

პარიზი 23 აგვისტო. სერიოზული მდგომარეობის შექმნის გამო რეიხსბანკში, მინისტრთა საბჭომ გადააყენა თანამდებობიდან რეიხსბანკის დირექტორი გავენშტეინი.

ბერლინი. 23 აგვისტო. სტამბ ბის მუშების მოთხოვნილების გამო შრომის ხელფასის გადიდების შესახებ, მიუნხენში დაიკეტა მთელი რიგი სტამბებისა. სხვა გამოცემათა შორის შეჩერდა ყურნალი „ფლიუგენდ ბლეტერ“-ის გამოცემაც.

საპონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთის ნოტა საკონტრიბუციო საკითხზე.

პარიზი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ნოტა, რომელიც გამოქვეყნებული იყო სამშაბათს, შეიცავს საფრანგეთის მიერ დაჭერილ პოზიციას და საკითხების ფაქტიურ გადაჭრის პირობების აღნუსხვას.

ნოტა იწყება განცხადებით, რომ საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ მისდევდა ეგოისტურ პოლიტიკას და ფიქრობდა, რომ საკონტრიბუციო საკითხები გადაჭრილი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობებში, თუ პატივისცემით მოეპყრობოდენ საერთოდ ევროპის ინტერესებს. საფრანგეთის მთავრობა მხედველობაში იღებს იმ გაჭირვებას, რომელსაც განიცდიან ზოგიერთი მოკავშირეები, როგორც მაგ. ინგლისი, სადაც უმუშევრობა გრძელდება. გამოდის რა ვერსალის ხელშეკრულებიდან, რომლის გადასინჯვა შექმნიდა საშიშარ პრეცენდენტს, ნოტა აღნიშნავს მთელ რიგ დათმობებს, რომელზედაც წავიდა საფრანგეთი გერმანიის მიმართ საკონტრიბუციო კომისიის მიერ ვადების ჯამის დაწესებამდე და მას შემდეგ.

ეს დათმობები არასოდეს არ ყოფილა ანაზღაურებული გადასახადების შემოტანით, და დაუდევრობაც კი გამოიწვია ამან გერმანიის მხრივ.

გერმანიამ არა თუ არ მიიღო ზომები თავის ბიუჯეტის გასაუმჯობესებლად, არამედ შეინარჩუნა ტრანსპორტის ისეთი ტარიფი, რომელიც ნაკლებია ყველგან მიღებულ ტარიფებზე. გერმანიამ გაუდიდა ხელფასი მოხელეებს, მან ვერ გადასწყიტა ძონაწილეობა მიეღო მსხვილ მრეწველთა და გემების მესაკუთრეთა კონტრიბუციის გადახდაში, მა ალადგინა თავისი კომერციული ფლოტი, შეასრულა რა ამავე დროს ისეთი სამუშაო, რომელსაც ვერ გაბედავდა საფრანგეთი დღევანდელ მომენტში. ეს სწორედ ასეთ პირობებში საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა რურის ოკუპაცია. უნდ მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ გერმანიამ 3 წლის განმავლობაში არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი.

საკონტრიბუციო კომისიამ განზრახ მიანიჭა საფრანგეთს მოქმედების უფლება, რაც აგრედვე გამომდინარეობდა ვერსალის ხელშეკრულების ტექსტიდა და მოკავშირეთა სხვადასხვა კოლექტიურ განცხადებებიდან და სახელდობრ: 1920 წ. 16 ივლისს სპაში მიღებულ ოქმიდან, რომელიც გამოხატავდა ინგლისის და საფრანგეთის სრულ თანხმობას, შემდეგ 1921 წლის ლონდონის დეკლარაციიდან და უმაღლეს საბჭოს 1921 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებიდან. უკანასკნელი დადგენილება გულისხმობს რურის ოკუპაციას არა მარტო გერმანიის მიერ საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილებათა არ მიღების დროს, არამედ იმ შემთხვევაშიაც, თუ გერმანია არ შეასრულებს თავის დაპირებებს. ეს დადგენილება აღიარა თვით გერმანიამ. მაგრამ მიუხედავათ ვერსალის ხელშეკრულების ტექსტის უდავო ხასიათისა, გერმანიამ, მიიღო რა რურის ოკუპაცია, როგორც მტრული აქტი, გასწია წინააღმდეგობა, რომელსაც ეწოდება პასიური, ნამდვილად კი აქტიური, რომელიც მოწყოფილია ძრეწველთა და ბერლინის მიერ. ამგვარად წინააღმდეგობის შეწყვეტა არის საფრანგეთისათვის უმთავრესი პირობა რურის ოკუპაციის შესაცვლელად ამ შემთხვევაში ოკუპაცია გაგრძელდებოდა სულ სხვა პირობებში, ვიდრე ეს ამჟამად ხდება, და გამოიხატებოდა პროგრესიულ ევაკუაციაში გადასახადების შეტანის მიხედვით.

საფრანგეთის მთავრობას არავითარი სურვილი არ აქვს დარჩეს რურში, არ აქვს არავითარი პოლიტიკური ხასიათის ზრახვები. თვით გერმანიაზეა დამოკიდებული ევაკუაციის დაჩქარება, თუ მოიკრეფს მთელ ძალღონეს, რის შესაძლებლობაც დამტკიცდა ავსტრიის მაგალითით, რომელიც გაცილებით ღარიბია საშუალებებით, ვიდრე გერმანია, საფრანგეთისათვის მოთხოვნა იმისა, რომ მან სხვაგვარად იმოქმედოს, ნიშნავდა გარმანიისადმი დათმობას, და როგორც განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა უმაღლეს საბჭოში 1921 წ. 3 მაისს, ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებულები გადიხდიდენ დამარცხების ზარალს, დამარცხებულები კი იგემებდენ გამარჯვებულების ნაყოფს“.

საფრანგეთის მოთხოვნილებანი არ აღემატება გერმანიის გადახდის უნარიანობას. რამდენიმე თვის წინად საფრანგეთმა წარუდგინა მოკავშირეებს თავისი პროგრამა, რომელშიაც აღნიშნული იყო საფრანგეთის უფლებები, ლონდონში მიღებული გადასახადების შემოტანის წესი ანიჭებდა საფრანგეთს ამ უფლების გარანტიას და კიდევ რამდენი-

მე ახალსაც. საფრანგეთმა გაიღო დიდი თანხები გერმანიის ხარჯზე და არ შეუძლია არც შესწყვიტოს აღმადგენლობითი მუშაობა და არც დაუსრულებლად ხარჯოს ასეთი თანხები. საფრანგეთს არასოდეს არ უთქვამს უარი იმ ვალების გადახდაზე, რომელიც აღებულია ამერიკასა და ინგლისში საერთო გამარჯვების მიღწევის მიზნით და თვითონაც არის სხვა მოკავშირეების კრედიტორი, რომელთაც მართებთ მისი 5 მილიარდ მარკაზე მეტი ოქროთი. მაგრამ მას სამართლიანად მიაჩნია, რათა ომის მიერ გამოწვეული ხარჯები მისდევდეს კონტრიბუციას და იმ ზარალს, რომელიც ჩამოთვლილია ხელშეკრულებაში.

საკონტრიბუციო კომისიამ შეადგინა გერმანიის ვალდებულებათა საერთო ჯამი, განსაზღვრა გერმანიის გადახდის უნარიანობა იმისათვის, რათა შეეცვალა გადასახადების რაოდენობა განსაზღვრულ ვადებში, გარემოებათა მიხედვით. მაგრამ დაუშვა შეცდომა, როდესაც მიიღო ეხლანდელი ცნობები საბოლოოთ იმის მაგიერ, რომ ანგარიში გაეწია გერმანიის გადახდის უნარიანობის საერთო ევოლიუციისათვის.

ნოტა გადადის შემდეგ საკონტრიბუციო კომისიის დებულებების განხილვაზე. ნოტა აღნიშნავს, რომ მიუხედავათ საკონტრიბუციო კომისიიდან ამერიკის დელეგაციის გამოსვლისა, გერმანიის თაღლითობის შემთხვევები ყოველთვის ყოფილა აღნიშნული კომისიის 3 ხმის მიერ წინააღმღეგ ერთისა, საფრანგეთის თავმჯდომარის პროგროგატივით სარგებლობის გარეშე. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ საფრანგეთს და ბელგიას აქვთ მოკავშირეთა ყველა საკრედიტორო უფლებათა 60 პროც. გერმანიის წინაშე. ეს არგუმენტი ყველასათვის გასაგებია, ვინც თეორიებს დაუპირდაპირებს პრაქტიკულ შინაარსს.

დასკვნაში ნოტა ამბობს, რომ საფრანგეთი მზადაა მეგობრულათ, მოკავშირეებთან ერთად განიხილოს ყველა საკითხები და ფიქრობს, რომ საჭიროა, რაც შეიძლება საჩქაროთ შეთანხმდენ გერმანიის ვალის იმ ნაწილის გადახდის საკითხში, რომელიც ხმარდება განადგურებულ ოლქების აღდგენას.

კომისიის მიერ გერმანიის ვალის დანარჩენი ნაწილის და სამხედრო ვალების საკითხის განხილვა შეიძლება გადადებულ იქნას რომელიმე განსაზღვრულ ვადამდე.

საფრანგეთი ფიქრობს, რომ ინგლისს არ აქვს განზრახვა მოითხოვოს მოკავშირეთა ვალების გადახდა კონტრიბუციის გადახდამდე, ვინაიდან ინგლისმა იცის, რამდენად აუცილებელია საფრანგეთისათვის პირველ ყოვლისა თავისი ეკონომიური ძლიერების და განადგურებულ ადგილების აღდგენა. თუ ინგლისი დაინტერესებულია იმაში, რომ აღდგეს გერმანია, საეჭვოა, რომ იგი დაინტერესებული იყოს საფრანგეთის განადგურებით".

რომი. 23 აგვისტო. ლონდონიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის საპასუხო ნოტა უკვე მიღებულია ლონდონში. ბალდვინი, ალბად დაუყოვნებლივ მოიწვევს კაბინეტის სხდომას.

ლონდონი. 23 აგვისტო. დღეს ლონდონში მიიღეს საფრანგეთის ნოტა შედგენილია მორიდებული, მაგრამ მტკიცე კილოთი.

საფრანგეთი მოითხოვს გერმანიისაგან 1300 მილიონ სტერლინგს ინგლისისათვის და ამერიკისათვის ვალის გადასახდელათ. ნოტაში ნათქვამია, რომ „თუმცა გერმანიამ თვითონ მიიყვანა თავისი თავი დროებითი კრიზისამდე, მაგრამ მისი საწარმოო ძალები უფრო დიდია, ვიდრე ომამდეო". საფრანგეთი არ დაუთმობს გერმანიას არც ერთ სანტიმს საკონტრიბუციო ჯამიდან, აგრეთვე ვერ აიღებს ხელს იმ იძულებითი ზომებზე, რომელთაც ის მიმართავს დღეს, რომ აიძულოს გერმანია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. გერმანიამ უნდა გადაიხადოს ყველაფერი და რაც შეიძლება დაჩქარებით. ამ რიგად რურის განთავისუფლება საოკუპაციო ჯარებისაგან თვით გერმანიაზე არის დამოკიდებული.

ბერლინი. 23 აგვისტო. ეხება რა საფრანგეთის ნოტას, „ფორვერტსი", ამბობს, რომ ეს ნოტა ერთხელ კიდევ ამტკიცებს საფრანგეთის სურვილს შეინარჩუნოს სამუდამოდ რეინლანდი და რური, რაც ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას და გერმანიის კრედიტორების ინტერესებს.

ლონდონი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ნოტამ ლონდონში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იმედოვნებენ, რომ შესაძლებელია მოლაპარაკების გაგრძობად ახალი გზების გამოძებნა. ფიქრობენ, რომ კაბინეტის სხდომა ჯერ არ შესდგება. ამ გარემოებას იმითი ჰხსნიან, რომ ბალდვინს განზრახვა აქვს პუანკარესთან პირადად გამართოს თათბირი, რომელიც საფრანგეთში მოხდება.

მოსკოვი. 22 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის კონსორუმის წარმომადგენელი მარტენი, რომელიც ამავე დროს არის საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ნაციონალური გაერთიანების თავმჯდომარე.

ეროვნული საკითხი

იტალია

ფიუმეს ავტონომია ენიჭება.

ვენა. 20 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, ფიუმეს ენიჭება ავტონომია, რომლითაც იგი სარგებლობდა უნგრეთის ბატონობის დროს. აღებ-მიცემობისა და საზღვრების უზრუნველსაყოფად დაწესდება სანავთსადგურო რეჟიმი. რკინის გზის სადგური, სავთსადგური და სახელმწიფო დაწესებულებანი იტალიას გადაეცემა.

საბერძნეთი.

საბერძნეთი და იტალია.

ბერლინი. 22 აგვისტო. იტალიის ელჩი ათინაში კვლავ შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას. საბერძნეთის პრესა ამ ფაქტს სთვლის დიპლომატიური ურთიერთობის განახლებად იტალიასა და საბერძნეთს შორის.

საფრანგეთმა იცნო საბერძნეთის მეფე.

ბორდო. 20 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობამ იცნო საბერძნეთის მეფე გიორგი. საფრანგეთის წარმომადგენელს დავალებული აქვს მეფეს რწმუნების სიგელი ჩააბაროს.

სამხრეთ სლავია.

რადიჩის განზრახვები.

ბერლინი. 22 აგვისტო. კროაციის გლეხთა პარტიის ლიდერს რადიჩს განზრახული აქვს აღძრას ერთა ლიგაში საკითხი კროაციის დამოუკიდებლობის შესახებ. მას განზრახული აქვს აგრედვე გაემგზავროს ამერიკაში და გაავრცელოს კროაციის დამოუკიდებლობის იდეია კროაციის ახალშენებს შორის ამერიკაში.

რადიკალების გამარჯვება.

ვენა. 20 აგვისტო. ძველ სერბიასა, მაკედონიასა და ჩერნოგორიაში საქალაქო არჩევნები მუშათა რადიკალურ პარტიის გამარჯვებით დამთავრდა. არჩევნების ნიადაგზე მიტროვიცაში სისხლის ღვრა მოხდა სერბიელ ნაციონალისტებსა და მუსულმანებს შორის.

საფრანგეთი.

ავეჯის დამამზადებელ მუშების პროფინტერნში შევიდნენ

პარიზი. 21 აგვისტო. საფრანგეთის ავეჯის დამამზადებელ მუშების უნიტარულმა კავშირმა დაადგინა შევიდეს პროფინტერნში და აწარმოოს პროპაგანდა ხეზე მომუშავეთა საერთო კონგრესის მოწვევის სასარგებლოდ.

ჩეხო-სლოვაკია.

მემალაროების საყოველთა გაფიცვა.

ბერლინი. 22 აგვისტო ჩეხო-სლოვაკიაში გუშინ დაიწყო მემოღაროების საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულების რიცხვი აღწევს 115,000 კაცამდე.

სამხრეთ-სლავია.

სამხრეთ-სლავიის მეზღვაურთა გამარჯვება

ვენა. 20 აგვისტო. 18 აგვისტოს დამთავრდა სამხრეთ-სლავიის მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა რამოდენიმე კვირის განძავლობაში. მეზღვაურებს და გემის მეპატრონეებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც საკითხი სამუშავო ხელფასის შესახებ მოგვარებული უნდა იქნეს ერთთვის ვადაში მუშაობის განახლებს შემდეგ.

საბერძნეთი.

გაფიცვა ათინაში.

ბერლინი. 22 აგვისტო. ათინაში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. საბერძნეთის მთავრობამ დაარსა სამხედრო სასამართლო და გარეკ ყველა მუშათა ორგანიზაციები.

საბერძნეთის მეზღვაურთა გაფიცვა

ათინა. 20 აგვისტო. საბერძნეთის მეზღვაურთა კავშირმა გამოაცხადა გაფიცვა. შეწყვეტილი მუშაობა ყველა ნავთსადგურებში. მთავრობამ გამოაცხადა მეზღვაურების იძულებითი მობილიზაცია.

ახალი ამბები

— **სავაჭრო რიგების და დარაბების შეკეთება.** ქალ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით დაევალა საფინანსო განყოფილებას, კომუნალურ განყოფილებასთან ერთად, 1 კვირის ვადაში შეისწავლოს დაწვრილებით დარაბების და სავაჭრო რიგების შეკეთების საკითხი და მოახსენოს პრეზიდიუმს.

საინტერესო კამათი ეროვნული საკითხის გარშემო

4.

კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა.

კომუნისტებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნულ საკითხის მოგვარებას, სრულიად ახალი ეთნოგრაფიული მოხაზულობა მისცენ რუსეთს, ერის ბინადრობა—მოსახლეობა მიიღეს ადმინისტრატიულ მიჯნის საფუძვლად, ხოლო მშობლიური ენა, დედა ენა, ისტორია, კულტურული ტრადიცია პოლიტიკო-ეკონომიურ განვითარების ფუძედ.

—ერთა სახალხო კომისარის თანაშემწე ამხ. ბროიდი სწერს—თუ ჩვენ არ გამოვალთ ერების ინტერესებიდან ვერც ერთს სამეურნეო საკითხს ვერ გადავწყვეტთო. თვით ერთა სახალხო კომისარი ამხ. ჯუღაშვილი (სტალინი) კიდევ უფრო შორს მიდის. მისთვის რევოლიუციის მთელი სვე-ბედი ეროვნულ საკითხის საზრიან გადაწყვეტაზეა დამოკიდებული.

ამ გვარად ეროვნული საკითხი ბურჟუაზიის პრივილეგიას კი აღარ შეადგენს, არამედ ის გაიხადა პროლეტარიატმა თავისი მზრუნველობის საგნად.

ასეთია ზოგადი და საერთო დამოკიდებულობა კომუნისტური პარტიისა ეროვნულ საკითხისადმი. კომუნისტების ასეთი დამოკიდებულობა ეროვნული საკითხისადმი ბევრ ჩვენს ნაციონალისტს აკმაყოფილებს, მაგრამ მათ ენაზე მუდამ მაგრათ აკერიათ. ეს პოლიტიკაა, დეკლარაციაა, სიტყვებია, საქმე სხვაა, სინამდვილე სიტყვების კორიანტელს არ ეგუებაო.

ჩვენი ნაციონალისტების წუწუნში ბევრი სიმართლე და არა ნაკლები ყალბი მიზნები და ზრახვებია. ყოველ შემთხვევაში ჩყენც და კომუნისტებს ძალიან კარგად მოგვეხსენება, რომ წინასწარად გადადგმული ნაბიჯები ჯერ კიდევ არ მოასწავებენ ეროვნულ საკითხის ამოწურვას, მის სასურველად გადაჭრას.

თუ ჩვენ მიუდგომლობას გამოვიჩენთ და სინდისიერად შევაფასებთ მოვლენებს დავინახავთ, რომ კომუნისტური პარტია არ რჩება ლიტონი სიტყვების ამარა. კომუნისტური პარტია უფრო მოქმედების პარტიაა ვიდრე ცარიელი სიტყვების. მე XII-ე პარტიულმა ყრილობამ მაისში მეტად საგულისხმიერო ნაბიჯი გადადგა ეროვნულ საკითხში, შემუშავებულ იქმნა მეტად საგულისხმიერო რეზოლიუციები, მაგრამ რეზოლიუციები რომ ისტორიის მხოლოდ მასალად არ გადაქცეულიყო იგივე პარტია ყრილობის მეორევე თვეში, მოსკოვში, ივნისში იწვევს პასუხისმგებელ კომუნისტების თათბირს და სადაც მხოლოდ ერთი გენერალური საკითხი სდგას —ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება.

კომპარტიას ცენტრალური კომიტეტი ანგარიშებს სთხოვს ადგილობრივ ძალებს თუ როგორ ანხორციელებენ ისინი ადგილობრივ ეროვნულ პროგრამას და ამავე დროს იძლევა დამატებითი კონკრეტულ ინსტრუქციებს. უნდა აღვნუსხოთ, რომ [illegible] სასწრაფოთ, და სერიოზული თათბირი კომპარტიას არც ერთ სხვა სეკითხისათვის არ მოუწვევია ასეთ ნორმალურ ხანაში. ჩვენ მარტო ეს გარემოებაც გვაჩვენებს, რომ კომპარტია მეტად სერიოზულად უყურებს ეროვნულ საკითხის პრაქტიკას.

ამ დიდი საკითხის რადიკალურად გადაწყვეტაში კომუნისტური პარტიის სამოქმედო პლატფორმა და აზრები პირდაპირ იშვიათია. 20 წელიწადია ჩვენ ვღეჭავთ ეროვნულ საკითხს, მაგრამ—უნდა აღვნუსხოთ ჩვენი სისუსტე აშკარად—ისეთი გაკვეთილი გეგმა ვერ დაგვისახელებია, როგორიც წამოაყენეს კომუნისტებმა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ კაბინეთის მომუშავენი ვიყავით, ხოლო კომუნისტები კი პრაქტიკამ მიიყვანა საღ ალღომდე.

მე XII-ე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინ-ჯუღაშვილმა ხაზ გასმით აღიარა, რომ ყოველივე ჩვენი მოქმედება უქმად ჩაივლის **თუ სასტიკი ბრძოლა არ გამოუცხადეთ პირველყოვლისა რუსულ ნაციონალიზმს**. მთელ 20—25 წლის განმავლობაში ჩვენი ნაციონალიზმი იყო დაჩაგრული ერის ნაციონალიზმი, ნაციონალიზმი თავდაცვითი, მოგერიებითი. არავის გაუბედია თვით რუსული ნაციონალიზმის ქედის ნომტვრევა, ძისი დამორჩილება, ასეთი აზრიც არავის გამოუთქვამს.

არა მარტო ჩვენ, არც მენშევიკებს, არც ესერებს, მით უფრო არც ერთ სხვა პარტიას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ ამ მხრივ. სტალინი ამბობდა თავის მოხსენებაში: „ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ შემოვიღეთ ეგრედ წოდებული ნეპი და ამასთან ერთად თავი წამოყო, გაძლიერდა რუსული ნაციონალიზმი, წარმოიშვა სმენავეხოვეცელების მიმართულება, რომელთაც სწადიათ მშვიდობიანის გზით მიაღწიონ იმას, რაც უნდოდა დენიკინს, ესე იგი შექმნან ეგრედ წოდებული ერთიანი და განუყოფელი რუსეთი. ამგვარად ნეპთან ერთად ჩვენს საშინაო ცხოვრებაში იზრდება **ახალი ძალა —ველიკოროსული შოვინიზმი, რომელმაც ბუდე გაიკეთა ჩვენს და ეხებულებებში და რომელიც იჭრება არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიულ ორგანოებში, დაძრწის ჩვენი ფედერაციის ყოველ კუთხეში და რომელსაც მივყევართ თუ ამ ახალ ძალას ეხლავე გადამწყვეტი წინააღმდეგობა არ გაუწიეთ, თუ ის არ აღმოვფხვრით ძირ-ფესვიანად —ჩვენ მოწამე ვიქნებით ყოფილ გაბატონებულ ერის პროლეტარიატის და დაჩაგრულ ერთა გლეხობის გათიშვის...**"

ძირს ველიკოროსული ნაციონალიზმი!—აი რა დროშა ააფრიალა რუსეთის კომპარტიამ. ვიმეორებ მთელი ასი წლის განმავლობაში არც ერთ დიდ პოლიტიკურ პარტიას არ წამოუყენებია დღის კონკრეტი ნაბიჯისათვის მზგავსი ლოზუნგი. ეს ლოზუნგი მარტო სტალინის ლოზუნგი არაა, ამას იმეორებენ კომპარტიის ყველა მეთაურები—დაწყებული ტროცკიდან გათავებული რაკოვსკამდე.

ყველაზე დიდ მნიშვნელობის ივნისის თათბირზე კომინტერნის ხელმძღვანელი ამხ. ზინოვიევი ამბობს: „ყელიკორუსულ შოვინიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით რომ უნდა განვიხილოთ ჩვენ საბჭოთა აპარატი უდავოა. ამ ჟამად მუშაობს უფართოესი კომისია ცეკასი, რომელიც აყალიბებს ჩვენი კავშირის კონსტიტუციას. ამ კომისიამ მიიღო ერთი დადგენილება, რომელიც მე თქვენ მინდა გაგაცნოთ, ვინაიდან მას დიდი მნიშვნელობა აქვს, აძ კომისიამ დაადგინა პარტიულ წესით გაატაროს საგანგებო ბრძანება (ნაკაზი) ყველა ნარკომატებისადმი პარტიის მიერ მიღებული ეროვნული ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის... ჩვენ შეგვიძლიან ვითავდებოთ, რომ ცეკა მე-XII ყრილობის შემდეგ გააკეთებს ყველაფერს, რაც მაზეა დამოკიდებული, რომ **ძირითად უბედურების წინააღმეგ—წინ აღმდეგ ველიკოდერჟავულ შოვინიზმისა—გასწევს ხანგრძლივ, სისტემატიურ და ხერიოზულ ბრძოლას...**" ტროცკიმ მოითხოვა პარტიის გაწმენდა იმ მავნე ელემენტებიდან, რომელნიც რუსულ შოვინიზმს ატარებენ.

მე არ მცალიან ამ ჟამად ეს მეტად შესანიშნავი საკითხი კომუნისტების ისტორიაში დაწვრილებით გავაშუქო და აქ გადმოვიტანო მკითხველების საყურადღებოდ. ჩემთვის ერთი არის აშკარა: არც ერთს სახელმწიფოებრივ პარტიას დღემდე ასე მძლავრად და რადიკალურად არ დაუყენებია ეროვნული საკითხი, როგორც ეს დააყენა კომუნისტურმა პარტიამ და არავინ ისე არ ცდილობს პრაქტიკულად მის ცხოვრებაში გატარებას ისე, როგორც იგივე პარტია.

მიკოიანი აცხადებდა თათბირზე—**ერი რჩება მისი მხოლოდ ფორმა იცვლებაო!**—აი ეს არის მთელი ჩვენი პარტიის ფილოსოფია, ამას ვემყარებოდით, აქედან გამოვდიოდით. ამბობს ამას მენშევიკი, ესერი?—არა! ამასვე ამბობს პოლიტიკურ ენაზე ამხ. სტალინი, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მთელი რუსეთის პრაქტიკაში. **„ნაციონალიზმთან ბრძოლამ თვით ნაციონალური არ უნდა გადაიტანოსო"**—ამტკიცებს ამხ. სტალინი. ეს არის უკვე არა ტაქტიკური საკითხი, არა უბრალო პოლიტიკის, ფანდის, ხერხის, არა, ეს სოციოლოგიური, ღრმა პრინციპიალური დებულებაა. ვინც ამ დებულებას იწამებს მას არ შეუძლია ეროვნული საკითხი არ გაატაროს ცხოვრებაში, სიმახინჯე არ მოიშოროს, შეცდომები არ გაასწოროს.

სუვორინის და მილიუკოვის გაზეთები („ნოვოე ვრემია" და „პოსლედნიე ნოვოსტი") აღშფოთებული არიან კომუნისტების ასეთი ეროვნული პოლიტიკით. არა თუ შავრაზმული ელემენტები, თვით პასუხისმგებელი კომუნისტებიც უარყოფდენ და ამარტივებდნენ ეროვნულ საკითხს, მაგრამ სტალინმა და ზინოვიევმა თათბირზე სასტიკად გაილაშქრეს ასეთ ელემენტების წინააღმდეგ და დაგმეს „მემარცხენე" კომუნისტების ნიღილიზმი.

თედო ლლონტი.

პართაგენი დაინგრა.

VI. *)

1890 წლამდე მიწის საკითხი ნაკლებად იპყრობდა სოციალ-დემოკრატების ყურადღებას, ვინაიდან, როგორც ზევით მოგახსენეთ, წვრილ მეურნეობის განვითარებაში ისინი ისეთივე ტენდენციებს ხედავდნენ და ხედავენ, როგორც ქალაქის მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობის ევოლიუცია მათ გამოყავთ ინდუსტრიის განვითარების ანალოგიიდან.

ცხოვრებამ ასეთი მოსაზრება უარყო და არ გაამართლა. სამართლიანად აღნიშნა ვ. ზომბარტმა, რომ მარქსისტული თეორია კონცეტრაცია-პროლეტარიზაციისა გამოსადეგი შეიქმნა მხოლოდ ინდუსტრიაში და აგრარულ ევოლიუციას რაც შეეხება, ამას არ ხსნისო. **) კერძოთ რუსეთის ს.-დ. პარტიას 1903 წლამდე განსაკუთრებული მიწის პროგრამა სრულებით არ ჰქონდა; და არც შეეძლო ქონოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის იდეოლოგიას.

თავდაპირველად სოც.-დემოკრატებმა შექმნეს ცნობილი „ჩამონაჭრები".

ასეთ პროგრამით ს. დ. გლეხებში ვერ გავიდნენ, ვერ მოატყვილეს მიწის მუშები და იძულებული გახდნენ ახალი პროგრამა შეედგინათ. და „გამოაცხვეს" კიდევაც, რომლის თანახმად უნდა მოეხდინათ მთელი მიწების ხელში ჩაგდება (Захват) რომელსაც ისეთივე ბედი ეწია, როგორც „ჩამონაჭრებს".

მხოლოდ 1905-6 წ. მოხდა რუსეთის სოც-დემოკრატიულ პარტიის მეორე გამაერთიანებელ ყრილობა (Второй об'единительный с'ѣзд Р. С-[illegible] партии), სადაც მიღებულ იქმნა პეტრე მასლოვ[illegible] პროექტი—ნეტარხსენებული მუნიციპალიზაცია.

აძრიგად, როგორც ამბობს ჯორჯაძე, ს.-[illegible] მოკრატებმა აგრარულ პროგრამის შედგენაში [illegible] საფეხური გაიარეს: „ჯერ ჩამონაჭრები და მცირ[illegible] დი გაფართოება გლეხობის მფლობელობისა, მერ[illegible] მთელი მიწების ხელში ჩაგდება და მას შემდეგ [illegible] წის მუნიციპალიზაცია. ***)

მუნიციპალიზაცია ყველასათვის ცნობილ[illegible] რუსეთში მას „ვერ ითვისებდა თვით მარქსისტუ[illegible] ინტელიგენცია, არ იზიარებდა მუშათა კლასი [illegible] გლეხები კი კატეგორიულად უარყოფდენ" ****). მ[illegible]

*) ეს წერილი არის დასასრული წერილები[illegible] რომელიც იბეჭდებოდა 1919 წელს „სოციალ-[illegible] ფედერალისტში" სათაურით: „ვისი პარტიაა ს[illegible] ციალ-დემოკრატია". გაზეთის შეჩერების გამო [illegible] უკანასკნელი თავი აღარ დაბეჭდილა.

შემთხვევით წავაწყდით რედაქციის ძველ ხელ[illegible] ნაწერებში ვბეჭდავთ შეცვლილი სათაურით, რომ[illegible] ლიც დღეს უკვე ფაქტის აღნიშვნაა.

რედ.

**) В. Зомбарт. соц. и соц. дв. в XIX [illegible] ნაწ. II გვ. 48.

***) არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი. ტ I [illegible] 156

****) Валентинов. Пути решения агр. во[illegible] роса.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **მუშების წვლილი საჰაერო ფლოტისათვის.** მთავარ სასურსათო საწყობის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში გაიღონ ნახევარ-ნახევარ დღის ხელფასი.

— **სავაჭროს გატეხვა.** 22 აგვისტოს სომხის გაზარზე, № 18, გატეხილ იქნა ბოროტ-მომქმედის მიერ მოქ. გამზად ომაროვის სავაჭრო, საიდანაც წაღებულია 3,000,000,000 მან. ღირებული ოქროულობა.

— **გადმოხვეწილ უმუშევრების სამშობლოში დაბრუნება.** შრომის ბირჟამ დაამტკიცა სია იმ უმუშევარ პირთა, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება. ხსენებულ პირებს ეძლევათ ლიტერები.

— **მევენახეთა ამხანაგობა საქარაში.** სოფელ საქარაში განზრახულია მოეწყოს მევენახეთა ამხანაგობა.

— **პური ამიერ-კავკასიისათვის.** ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: პური, რომელიც ამ ბოლო დროს იყო მიღებული განსაკუთრებით ამიერ კავკასიისათვის დაფქვას და გაანაწილოს მაზრების შორის.

— საავტომობილო ტრანსპორტი ბორჯომში ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ ბორჯომის საავტომობილო ტრანსპორტის მოსაწყობად გადაიდო 5 მილ. მან.

— მოსავლიანობის დაყოფა რაიონებად. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი ადმოსავლეთ საქართველოს მთა-გორიან ადგილების მოსავლის რაიონებად დაყოფისა.

— **შრომის განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმის დამტკიცება.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა შრომის თვე და განყოფილებების მუშაობის გეგმა.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** იმავე კოლეგიამ დაამტკიცა დებულება შრომ. სახ. კომისარიატმა უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიის დაარსების შესახებ, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

— **სახალხო მამულები.** სახალხო მამულების ქვეგანყოფილება გადაკეთებული იქმნა სახ. მამულების სამართველოდ, რომლის განკარგულებაში გადავიდა საცდელი განყოფილებების ზოგიერთი მამულები.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** სასოფლო სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა ტფილისის მაზრაში მიმდინარეობს ნორმალურად. მცხოვრებლები, იძლევიან საფუძვლიან ნამდვილ ცნობებს.

— **მე-3-ე ტეხნიკუმის დახურვა.** სახ. განკ. კომისარის განკარგულებით დახურული ვაჟთა მე 3-ე ტეხნიკუმი, რომელიც შეუერთეს 1 ტეხნიკუმს.

— **დრამატიულ სტუდიაში.** აკაკი ფალავას დრამატიულ სტუდიაში ძველ სტუდიელებთან მეცადინეობა განახლდება 20 სექტემბერს. ახლების გამოცდა სტუდიასთან არსებულ დრამატიულ სკოლაში მოხდება 25 და 26 სექტემბერს. საერთო მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს. სტუდიაში შესვლის მსურველმა წინასწარი განცხადებანი უნდა წარადგინონ სტუდიის კანცელარიაში (რუსთაველის პრ. № 21) დილის 10—12 საათამდი.

— **სტუდიის რეპერტუარი.** აკაკი ფალავას სტუდია მომავალ ნეზონიდან შეუდგება რეპერტუარის შექმნას. პირველ რიგში განზრახულია შემდეგი პიესები: „ადამიანი-მასსა"—ერნსტ ტელერისა (გერმანული ექსპრესიონისტია), „გმირი"—სინგისა (ირლანდიის მწერალია), „ტურანდოტ"—გოცცისა იტალიის მწერალია).

შეცდომის გასწორება

ტრიბუნის № 554 **კულტის საწინააღმდეგ ბრძოლ ს** გამო წერილში დაბეჭდილია **მეცნიერება დარწმუნებულია**—უნდა იყვეს **მეცნიერება დამარწმუნებელია.**

პარლიამენტი

შაბათს, აგვისტოს 25, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ კლუბში შესდგება საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარ. პარტიის მეოთხე რაიონის (1, 2 და 3-მე უბნის) წევრთა მორიგი საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს **ამხ. პარმენ ჭანიშვილი „პროლეტარიატი და გლეხობა".** შემდეგ განხილული იქნება საორგანიზაციო საკითხები. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

პროვინციაში

ქ. ბორჯომი.

ადგილობრივ საკურორტო სამმართველოს ალბად დაეზარა, რომ წყალი დაეხარჯნა ქ ლ ქის სისუფთავისათვის, მაგრამ უხვმა ბუხებამ გამოუშვა წყალი, მთელი 2 კვირის განმავლობაში შეუსვენებლივ სწვიმდა, ასე რომ მოავალ მოაგარაკეებს დაებადათ სურვილი საჩქაროდ უკან დაბრუნებისა, რადგანაც ჰზის დანახვას არავინ იმედობდა და ამასთან ერთად დაიჭირა საშინელი სიცივეები.

პარასკევს, 17 აგვისტოს, მზემ გამოანათა, მაგრამ ამ გზით მოაგარაკეებს არ უსარგებლებიათ, იმიტომ, რომ ეს მზეც საკურორტო სამძართველომ მიითვისა.

ბევრ მკითხველთაგანს ჩვენი სიტყვები გაუკვირდებათ, მაგრამ დეე ნურავინ მიეცემა სასოწარკვეთილებას და წაიკითხოს ჩვენი წერილი ბოლომდე, რათა გაიგოს საქმის სინამდვილე.

ყველამ კარგად იცის, რომ საკურორტო სამმართველოს, ვის ხელშიდაც არის ბაღი თავის მინერალური წყლებით,—გაყიდული აქვს მოაგარაკეებზე მთელი სეზონის განმავლობაში. **სეზონის ბილეთები.** მაგრამ როგორც ძოაგარაკეებს აჩვენა საქმის ვითარებამ. ეს სახელი მხოლოდ **სარკაზმი** ყოფილა ადგილობრივ საკურორტო სამმართველოს დიოექტორის ლომინაძის ძიერ შეთხზული. მაშ როგორ აოის? სეზონის ბილეთებით შეგიძლიათ ისარგებლოთ მხოლოდ წვიმების დროს, როცა არავინ დადის ბაღში და ვერც ძხის ვანებს მიიღებთ, მხოლოდ როდესაც მხე გაძოანათებს სამმართველო აწყობს სეირნობა-კონცერტ კაბარეებს და ძალაუნებურად უნდა იყიდო ახალი ბილეთები. მიდიხართ წყლის დასალევად, გხვდებათ კარებში კონტროლიორი და ძოგახლით: „სეგოდნია სეზონი

დიხართ ბაღისკენ და თვალებში გეცემათ უშველებელი ასოები აფიშაზე: „დღეს ყველასათვის გაიმართება ბაღში დიდი კონცერტ-კაბარე თამარა წერეთლის და ანნა არლოვის მონაწილეობით, შესვლა ბილეთებით“.

უკვე სახეზე გეტყობათ საშინელი ბრაზი და აღელვება. საქმე იმაშია, რომ თამარა წერეთელმა ამავე ბაღის საკონცერტო ზალაში გამართა თავისი კონცერტი, რამაც აუარებელი ხალხი მიიზიდა. მის აფიშაზე ეწერა, რომ მხოლოდ ერთი კონცერტი ექნებაო. ერთი კვირის შემდეგ სჩანს მეორე აფიშა:

„თამარა წერეთლის კონცერტი საზოგადოების დაჟინებითი მოთხოვნითაო“. რასაკვირველია ამ მეორე კონცერტზედაც ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებთაც მილიონები არა ჰქონდათ და ვერ დაესწრენ.

დღეს კი, 19 აგვისტოს, საკურორტო სამმართველოს განუზრახავს ნამდვილი ინკვიზიტორული საქმე: მოაგარაკე, რომელიც მიდის ბაღში გასასეირნებლად ან წყლის დასალევად იძულებული ხდება აიღოს კონცერტის ბილეთი, მისცეს მასში ერთი მილიონი მანეთი, თორემ უკან უნდა დაბრუნდეს. იცოდა რა სამმართველომ, რომ ხალხი ეტანებოდა თამარა წერეთლის კონცერტს გამოაცხადა მისი გვარი აფიშაზე.

ამრიგად დღეს უკვე მილიონი ღირს ბაღში შესვლა და თუ არ აიღეთ ბილეთი და არ გაქვთ ფული რომ კონცერტზე დაესწროთ, მაშინ მინერალური წყალიც მავნებელია და სამმართველოს მოქმედების ლოლიკის მიხედვით უნდა დაბრუნდეთ შინ.

რაშია საქმე? ვინ მოაწყო ეს კონცერტ-კაბარე ბაღში? კონცერტისთვის ხომ სპეციალური ზალა არსებობს და ვის აქვს მინიჭებული ასეთი უფლება რომ აიძულოს ღარიბი მოაგარაკე, (რომელსაც აქვს შეძენილი სეზონის ბილეთები), რომ აიღოს კონცერტის ბილეთი, თუ მას სურს ბაღში გასვლა? ვინ სჩადის ამ საქმეს? ვის ხმარდება ეს ფული? ეს ხომ აშკარა ექსპროპრიაციაა დღისით, ყველას წინაშე?

ვიღაც ტარუმოვებმა და კერძო სპეკულიანტ კომბინატორებმა რომ ჯიბეები გაივსოს იმიტომ უნდა გაიცარცვენ მოაგარაკეები, რომლებშიდაც ზოგიერთებს შეიძლება პურის ფულიც არა აქვთ?

აგარაკზე არიან მოსული მრავალი მოსწავლე ახალგაზრდობა, პროფკავშირების წევრები, სამხედრო პირები, მშრომელი ხალხი და ღარიბი ელემენტები. სად აქვთ მათ ყოველდღე მილიონები, რომ გაავსონ „ბნელეთის“ სალაროები?

კმარა, ასეთ თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს!

როგორი იყო მათი კონცერტი? „თამარა წერეთელი ავად გახდაო და სამწუხაროდ ვერ მიიღებს მონაწილეობასო“—გამოაცხადეს კონცერტის დასაწყისში და როცა კონცერტის პირველი განყოფილება რაღაც უშნო ხუმრობაში გაათავეს, საზოგადოებამ აღარ მოუცადა მის გაგრძელებას და დაიშალა.

მთელი დღე და ღამე საზოგადოება აღელვებული და აღშფოთებული იყო ამ საზიზღარი სპეკულიაციით.

დროა ასეთ „თავისუფალ მოაზროვნე“ ვაჟბატონებს ჭკუა ასწავლონ. საჭიროა ამ საქმეში ჩაერიოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და საჩქაროდ გამოარკვიოს ყველაფერი. გათენდება მეორე დღეც —ხვალინდელი და მოაგარაკეებს ეშინიათ კიდევ „მილიონები“ არ მოსთხოვონ ბაღში შესასვლელი.

ვინ იცის სანამ ეს წერილი „ტრიბუნის“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდეს, რამდენ მუშის სისხლით და ოფლით შეძენილ „მილიონებს“ გაუტყდეს თავი!

მოაგარაკეები ახლა ისევ წვიმას ნატრობენ. წვიმიან დღეს სეზონის ბილეთები გამოდგება და მზიანი დღეები კი სრულიად უკანონოდ საკურორტო სამმართველომ მიითვისა. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ ვამბობთ: კმარა! დროა შეაჩერონ თავიანთი აღვირ ახსნილი ვნებები ამ ვაჟბატონებმა, თორემ ვაი თუ საბჭოთა მთავრობის მრისხანე ხელმა მათ თავზედაც გადაიაროს და ბოლო მოუღოს „აღებულ ფამატების კარიერებს“.

—ელი.

ს ა ჩ ი ნ ო

ქვემო იმერეთის ის მხარე, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდგან სამხრეთ-დასავლეთ მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე და ეწოდება საჩინო, ქუთაისის მაზრაში ერთ-ერთ საუკეთესო კუთხეს წარმოადგენს. ბუნებრივი სიმდიდრით საჩინო უხვად არის დაჯილდოვებული. აქაური ნოყიერი ნიადაგი უხვ მოსავალს იძლევა.

საჩინოს სამკურნალო წყალი, აბანო, რომელიც ცნობილი არის თავისი სამკურნალო თვისებით იმერეთსა და განსაკუთრებით გურიაში, ბევრს ავადმყოფს იზიდავს ზაფხულობით მოხსენებულ კუთხეებიდგან.

ვანის ბაზარი, რომელიც მთელი საჩინოს კულტურულ-ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ცენტრად ითვლება, ადამიანს პატარა კოხტა ქალაქს მოაგონებს. აქ არის მოთავსებული თემის აღმასკომი, სამკითხველო, კოოპერატივი, მთლიანი შრომის სკოლა, სასამართლო, ფ.-ტელეგრაფის განყოფილება და სხვა.

გასულ წელს, როდესაც ვანში არსებობდა ტეხნიკუმი, საზოგადოებამ შეიძინა ტეხნიკუმისათვის შენობა, სადაც ერთ-ერთი დარბაზი დროებით დაეთმო ადგილობრივ თეატრს.

აქვე არის შემდგარი ადგილობრივი დრამატიული წრე, ყავს საკუთარი დრამატიული დასი და სისტემატიურად იმართება წარმოდგენები. არსებობს ლიტერატურული წრე რომელიც პერიოდულად აწყობს ლიტერატურულ გასამართლებას. წელს კი ნიადაგი ჩაეყარა და უკვე დაიწყო აგება შუა ბაზარში სახ. სახლისა. აი ასეთი არის დადებითი მხარეები საჩინოსი.

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ რომ, საჩინო ერთი ორად დაწინაურდებოდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი სიფხიზლე გამოეჩინა და მეტი ენერგია დაეხარჯა მუშაობაში.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო მხარე ქუთაისის მაზრაში, საჩინო, უგზოობისა გამო მოწყვეტილია სამაზრო ცენტრის და თითქმის იმერეთის ყველა ქალაქებს. იმ საშინელ გზებზე მიმოსვლა, რომელიც უნდა იყოს შემაერთებელი იმერეთის სხვა მთავარ პუნკტებთან, შემოდგომაზე და ზამთარში თითქმის შეუძლებელი არის.

მდ. რიონზე უხიდობა კიდევ უფრო შეუძლებლად ხდის მიმოსვლას. უნდა ითქვას, რომ მდინარე რიონი მოდიდების დროს შემოდგომასა და გაზაფხულზე დიდ ზარალს აძლევს ადგილობრივ მკვიდრთ. მთელი ამ მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირი თითქმის რამოდენიმე ვერსის მანძილზე იფარება წყლით და თან წალეკავს ჭირნახულს.

ხშირად კი, როდესაც საშინელი გვალვები ანადგურებს ნათესებს, მდინარე რიონით ვერ სარგებლობენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ჩვენის აზრით კი ყოველივე ამის მოგვარება-მოწესრიგება შესაძლებელი არის თუ კი ადგილობრივი ხელისუფლება ჩაუდგება სათავეში ამ საქმეს და წესიერად შეუდგება მუშაობას.

მე ვამბობ „წესიერად“ მეთქი იმისთვის, რომ გასულ წელს დაიბადა აზრი რიონის მარცხენა ნაპირზე სარწყავი არხის გაყვანისა. მოწვეულ იქმნენ ინჟინერები, ტეხნიკოსები და დაიწყეს მუშაობა. მუშაობის პროცესში ხალხი მხურვალე მონაწილეობას იღებდა; მაგრამ არხის გაჭრა ისეთი უწესოდ მოხდა, რომ მთელ შარშანდელი მუშაობა ტყვილა უნაყოფოდ დარჩა და თვით ხალხი ისეთ დააშინა არხის უწესოდ გაყვანამ და მუშაობის უნაყოფო შედეგებმა, რომ ეხლა სარწყავ არხს ვერც-კი ახსენებთ ხალხში.

ოთხი-თუ ხუთი წელია, რაც ვანში არსებობდა გიმნაზია, ეს ერთად-ერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელი რიონის გაღმა მხარეში. მაგრამ გასულ წელს იგი ადგილობრივი მაზრის სამოსწავლო მთავრობის მიერ დაკეტილ იქმნა და ამ გვარად ბევრ მოსწავლე ახალგაზრდობას არამც თუ მარტო ვანისას, არამედ მთელ იმ კუთხისას დაეხშო სწავლის კარები; ვინაიდგან, როგორც ზევით მოგახსენეთ საჩინო მოწყვეტილია ქალაქს და მხოლოდ იშვიათ გამონაკლისს თუ ეძლევა საშუალება ქალაქში სწავლის გაგრძელებისა.

რამდენადაც ვიცით განათლების კომისარიატთან არსებულ სამოსწავლო საბჭოს აქვს დადგენილება ამა სამოსწავლო წლიდგან შემოღებულ იქმნეს ახალი 9 წლიანი შრომის სკოლა, ე. ი. ეხლანდელ 8 წლიან შრომის სკოლას ემატება მეცხრეც. მაგრამ რამდენადაც ეს ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, ეს დადგენილება არ ვრცელდება საჩინოს მხარეზე, ხოლო ქუთაისის მახლობლად მდებარე თემებში კი იხსნება ასეთი ცხრაწლედები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როდესაც მთავრობა ცხრაწლედებს ანაწილებდა, მხედველობაში უნდა მიეღო ისეთი ცენტრზე დაშორებულ მხარე, როგორიც არის საჩინო.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც იმედს არა ვკარგავთ, რიონის გაღმა მხარეც არ იქნება დავიწყებული ამ შემთხვევაში.

აღსანიშნავია ერთი რამ: საჩინოდგან დაახლოებით 30 ვერ. მანძილზე სამხრეთ აღმოსავლეთით მთებში აღმოჩნდა ერთგვარი მჟავე წყალი, რომლის უებარმა სამკურნალო თვისებამ უკვე სახელი მოიხვეჭა ახლო-მახლო მცხოვრებთა შორის ამ მოკლე ხანში და წელს ზაფხულზე აუარებელი ავადმყოფები მიიზიდა.

გადმოგვცემენ, რომ ხსენებული მჟავე წყალს შესანიშნავი თვისება ჰქონია: ადამიანს შეუძლია 30 ჩაის ჭიქა წყალი დალიოს და იმავე დროს არაჩვეულებრივ სიმსუბუქესა გრძნობდეს, შემჩნეულია, რომ მჟავე წყალი რადიკალური საშუალებაა მწვავე და ქრონიკულ კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობათა წინააღმდეგ, შესანიშნავად მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე, უხდება სისხლნაკლებობას და სხვა. იქვე არის აბანო, რომელიც ძლიერ რგებს კანის ავადმყოფობას. მაგრამ საუბედურო გზა ისეთი არის, ისეთი რომ იქ არამც თუ ავადმყოფებს, ჯანსაღებსაც უჭირთ მისვლა.

საჭირო არის რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ექსპერტთა კომისიის მიერ წყლის შემოწმება და მისი სამკურნალო თვისების გამოკვლევა და თუ ამ საქმეს ყურადღება სათანადოდ მიექცა, ჩვენის აზრით, შეიძლება ამ წყალმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს საქართველოში სამკურნალო წყლებში.

ინ—ჯანელი.

წვიმები კახეთში

5 აგვისტოდან დაწყებული მთელ კახეთში გამუდმებული ავდარია. დრო გამოშვებით კოკისპირულადა წვიმს, რამაც დიდი ზარალი მიაყენა კახეთის მეურნეობას.

მართალია მომკა უკვე გათავებული იყო და ყანის უმეტესობა კალოებზე მოტანილი, მაგრამ დარჩა კიდევ მინდორში ძნები. საერთოდ კი კალოები ახლად იყო შებმული და ყველა ლეწვაში იყო გართული, რომ ამ დროს დაიწყო ავდარი და ათ დღეზე მეტია გამუდმებითა წვიმს. ყველას ჩაშლილი კალო ისე დარჩათ და გუბედ გადაიქცა, ფრთა მოქცეულები (ძნები) სულ გაჟიდა და ერთ მტკაველზე ჯეჯილია ამოსული.

ამ სტრიქონების დამწერმა ერთ კალოზე განგებ დავშალეთ ფრთა მოქცეული და მესამედი სულ გაფუჭებული აღმოჩნდა.

ჯერ პურის მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო წელს კახეთში. გაზაფხულის გამუდმებული ავდრების გამო სულ აბალახდა და აოხრდა, ნაბეტონ გაღმა მხარეს. ორთა შუა რიცხვით მოსავალი შუალოზე ნაკლები იყო [illegible] გაანახევრა მზად მოსული ჭირნახული. მკითხველ [illegible] რები ამობენ, რომ ეს [illegible] მოსავალს [illegible] უეჭველად გააფუჭებსო.

ასეა ჩვენი ცხოვრება. სოფლის მეურნე [illegible] დან წლამდე წელებზე ფეხს იდგამს, ოფლსა ღ [illegible] და მთელი მისი ბედ-იღბალი ამინდზეა დამოკ [illegible] ბული, თუნდა მოსავალი მოვიდეს, საკმარისია თი დღის ან რამდენიმე საათის ბუნების მოვ [illegible] რომ სტიქიამ ხელიდან გამოაცალოს მთელი ჭი [illegible] ხული.

ეს ასეც იქნება ვიდრე ჩვენ ასეთ უყურა [illegible] ბოდ ვიქნებით და ჩვენი მეურნეობა პირველ [illegible] ფით მდგომარეობაში იქნება. მიუხედავად ი [illegible] რომ მეცნიერება და ტეხნიკა უმაღლეს ხარისხ [illegible] განვითარდა და არა თუ პირუტყვი საჭირო ა [illegible] ხდება, არამედ ჰაერიც კი დაიმორჩილა. კახ [illegible] ეს მარტო ოცნებას წარმოადგენს. მთელ კახ [illegible] არც ერთი სალეწი მანქანა არ მოიპოვება, [illegible] გლეხს შეეძლოს წვითა და დაგვით მოყვანილი [illegible] ნა ხოხმიკათ გალეწოს და ერთი დღის საქმეს, [illegible] სამი კვირა არ მოუნდეს. მაგალ. კახეთში რომ [illegible] ასეთი მანქანა ყოფილიყო, აქამდე გალეწილი [illegible] ბოდა და წლევანდელი პურის მოსავლის ნასა [illegible] მხვნელ-მოესველს ხელიდან არ გამოეცლ [illegible] დათ.

პურის გარდა ვენახებსაც აზარალებს; ზ [illegible] ყურძენი დახეთქა ავდარმა, თუმცა ეს საგრძნ [illegible] ლი არ იქნება, რადგანაც ყურძენი ჯერ შე [illegible] სული არ არის და ისრიმს კი იძდენს ვერას დ [illegible] ლებს.

წვიმების გამო ხევები ძლიერ ადიდდა, გ [illegible] მხარეს ზოგან წყალი მინდვრებზე გადავარდ [illegible] ძნები წაიღო, ყვარელში დურუჯმა 5—6 ვერ [illegible] შარა გზა სულ გააფუჭა და წყალი ახლა სო [illegible] ემუქრება, 13 აგვისტოს მთელი სოფელი კ [illegible] იყო და ებრძოდა გააფთრებული წყალს, რომ [illegible] ფელზე არ მიეღო მიმდინარეობა. სტორმა (ხ [illegible] ორი ადამიანი იმსხვერპლა.

ასეთი გამუდმებული ავდარი ზაფხულში [illegible] დი ხანია არა ყოფილა, ამასთან ისე ა [illegible] რომ ყველამ ზამთრის ტანისამოსი მონახა.

ახალი კახელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული
„ჩვენი მეცნიერება“ № 2—3

იყიდება შემდეგი შინაარსით:

1. პროფ. **შ. ნუცუბიძე**, შპენგლერი, როგორც ევროპიულ აზროვნების კრიზის მაჩვენებელ
2. **კ. ბაქრაძე**, ალეთელოგიური რეალიზმი.
3. პროფ. **დ. უზნაძე**, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები.
4. პროფ. **გ. ახვლედიანი**, „სა-ო“ და „ური-ს“ მნიშვნელობა.
5. პროფ. **გ. ახვლედიანი**, პროტეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში.
6. **ბ. ჩიქობავა**, 3—ინის რეფლექსები ფერეიდნულში.
7. დოცენტი **გრ. ნათაძე**, გლეხების გადასახადები უძველეს საბერძნეთში.
8. პროფ. **კ. კეკელიძე**, ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში.
9. პროფ. **გ. წერეთელი**, მენანდრას კომედიები.
10. **ს. გორგაძე**, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.
11. პროფ. **ბერიტაშვილი**, ექიმი იაშვილი, აგზნებულების სხვადასხვაობა კუნთის ფარგლებ
12. პროფ. **ა. ნათიშვილი**, ადამიანის აორტის რკალის დატოტიანების წესის ემბრიონა დარღვევა.
13. პროფ. **ვ. მოსეშვილი**, საქართველოს რესპუბლიკის საბანლეოლოგიო პუნკტების მოწყობის
14. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის მოღვაწეობა.

დამატება: საენათმეცნიერო ტერმინოლოგია (მიღებულია საქ. სახ. სამეცნიერო საბჭოს [illegible] ფასი 1 მ. 50 კაპ. ჩერვონ. შეძენა შეიძლება კრებულის რედაქციაში, კადეტის ქ. № 6, სტუდ. პერატივში, რუსთაველ. პრ. № 40 სწარმოებს ხელის მოწერა № 4. ფასი 1 მან. ჩერვონ.

№ 395.—3—2. პასუხისმგებელი რედ. და გამომცემელი **ან. ჩილ**

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქუჩა, № 1) დანიშნ

წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

ვაგონ-რესტორანების №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომლიძესი და მაჯანაშვილის).

ვაგონ-ბუფეტის, რომელიც მოძრაობს №№ 3 (4 და 7) 8 მატრარებლებთან ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები—ჩახუნაშვილი, ძიძიგური, თოდუა და მუჯირი).

1 კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად. ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, ბორჯომი, თელავი, კარდანახი, წნორის-წყალი, სანაინი, შაგალი, ეჩმიაძინი, საგირი, სურახანი, იაშმა, კუსარ-ჩაი.

სავაჭრო კარვების შემდეგ სადგურებზე:

აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, ხაშური (ხარებავას შენობა), წაღვერი, მუკუზანი, შაგალი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, კარაბურუნი, საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე: ლანჩხუთი, საჩხერი, გორი, სანაინი, კარაკლისი, გუბრში, ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და ნატანები.

შემნახველი კამერის სად. ტფილისში.

შკაფების შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები ბაქო 1 და საბუნჩი.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ **საჯარო** ვაჭრობაში, თავისი განცხადებები დაბეჭდილ **კონვერტებში ან უნდა** ჩააგდონ სპეციალურად ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდულ ყუთ ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. კონვერტებზე, რომლებ მოტანილი იქნება პირადათ ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა „ეწერ „ამ.-კავ. რ. გზ. სამმართველოს, ბუფეტების, კარავებისა და სხვა **საჯარო ვაჭრობისათვის**“. განცხადებაში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდო რის აღება სურს იჯარათ მომწერს და როგორია მის მიერ წინადადებუ წლიური ფასი მშვიდობიან დროის მანეთის ანგარიშით.

განცხადებას თან უნდა დაერთვას:

1) ქვითარი ბეს შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წ ნადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. რამოდენიმე სავაჭროს აღებ მსურველებმა უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წეს და წარმოდგენილ საიჯარო ფასის ცალკე ბეს შეტანით, რომელიც ყოვ ცალკე შემთხვევაში უნდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-სა. 2) შემოტანილ განცხადებებზე თანდართული უნდა იქნეს [illegible] ღერბო გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარ განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურნეობის ინტერესებიდ გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 ათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი, ვაგზლის ქუჩა, № 1, ოთახი № 6

№ 397.—3—1.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 570 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოუზენშტეინის ქუჩ. № 4